სახალხო გაზეთი

№ 149 ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 149

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Папалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

თებრონია და პელაგია ელიოზოვები და ილია სამადაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი და მეორე—დაუვიწყარის დის, ხოლო მესამე საყვარელ მეუღლის

მაშოს

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 6 ნოემბერს, დილის 9 საათზე, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვაც. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. დიდუბე, ფოთის ქ. № 3, სახლი როდინკოსი. (1—196—1)

არჩილ და ივანე სიმონის ძენი გუგუშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობს გარდაცვალებას უსაყვარლესის ძმების

კონსტანტინე და ალექსი სიმონის ძეთ გუგუშვილებისას.

პირველის ორმოცის წირვა, ხოლო პანაშვიდი ორივესი დანიშნულია ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, 7 ნოემბერს, დილით, კვირას. (2—193—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 19.

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

„მირრა ეფროს"

პიესა 5 მოქმედებად, ი. გორდინისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კარგარეთელი ა., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ. ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლ., გედევანოვი გ. გვარამძე ნ., ქივიძე ი., ზარდალიშვილი ი., მატარაძე გ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი. და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ. მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „იმედის დაღუპვა", მისს გობს. ანუ „ქალის ჭკუა", „ორი ვნება", „ნორჩი თაობა" და სხვა.

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალიბისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—29)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. ღიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ს. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. [illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. ვ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—479)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ჯანდიერიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ჩალაგაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხუთ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

შენგელიშვილი ნ. მ. ქირურ. და დაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფარბუდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხაზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., სანოლელი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (200—ნ.—316

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება რთვით

გაიხსნა

საბავშო ბაღი

ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვილისა.

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღში მიღების შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში, დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, № 8. მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან (7—185—5)

მოითხოვეთ ბუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.-ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—3)

ტფილ. საგუბერნიო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილ. სახაზინო პალატაში 1910 წ. 30 ნოემბერს, შუადღისას, 12 საათზე, მოხდება ზეპირად და დაბეჭდილის განცხადებით

საჯარო ვაჭრობა

პარტიობითა და ნაწილობით ტფილისის გუბერნიის **საეტაპო ადგილების** შენახვისა და მოწყობის საქმის იჯარით გასაცემად. ხელ-ახალი ვაჭრობა მოხდება პირველ ვაჭრობიდან სამის დღის შემდეგ. იჯარა სამის წლის ვადისაა, პირობის დამტკიცების დღიდან დაწყებული. ის პირნი, რომელთაც ჰსურთ ზეპირს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ, ვალდებულ არიან დანიშნულ დღის 11 საათამდე მისცენ ამის შესახებ ტფილისის სახაზინო პალატას თხოვნები სავაჭრო საბუთებითა თავის წოდების მოწმობითა და საჭირო გირაოთურთ, რაცა უნდა იყოს ⅓ ნაწილი წლიურის საიჯარო თანხისა; ხოლო ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ დაბეჭდილის განცხადებით, ვალდებულნი არიან, არა უგვიანეს ვაჭრობის დღის 11 საათისა, წარადგინონ ან გამოგზავნონ ტფილისის სახაზინო პალატაში განცხადებანი, დაწერილნი იმ ფორმით, რომელიც აღნიშნულია სახაზინო გასაკეთებელ საიჯარო საქმეთა დებულების 144 მუხლში (გამ. 1900 წ.), ზემოდ განმარტებულ საბუთებითა და გირაოთურთ. განცხადებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან ამ 144 მუხლში მოყვანილს წესებს, უვარგისად ჩაითვლებიან. ამ საგნის შესახებ პირობათა ნახვა შეუძლიანთ მსურველთ საგუბერნიო გამგეობასა და ტფილისის სახაზინო პალატაში ყოველ დღე, კვირასა და უქმე დღეებს გარდა, დღის 10 დან 12 ს.-დე.

ბ ღ წ ე რ ა

ტფილისის გუბერნიის საეტაპო ნაწილებისა მათთვის დადგენილ ეტლებისა და ცხენების რიცხვითურთ.

საეტაპო ნაწილები მუდმივის მოწყობილებით.

ქალ. ტფილისში

ტფილისისა (არის საეტაპო ეზო გადასაყვან ნაწილში	6	ეტლი
სიღნაღს მაზრაში:		
კაკაბეთისა (არის საეტაპო ეზო)	2	ეტლი
კაჭრეთისა (არის საეტაპო ეზო)	2	„
ნუკრიანისა	5	„
მუკუზანისა (არის საეტაპო ეზო)	1	„
ლაგოდეხისა (არის საეტაპო)	2	„
ალაზნისა (არის საეტაპო ეზო)	2	„
„თუქურმიშისა (არის საეტ. ეზო)".	1	„
საეტაპო ნაწილები დროებითის მოწყობილებით.		
ტფილისის მაზრაში:		
ვაზიანისა (არის საეტაპო ეზო)	4	„
სართიჭალისა (საეტაპო ეზო არის)	4	„
მუხროვანისა (საეტაპო ეზო არის)	3	„
ახალქალაქის მაზრაში:		
ხერთვისისა (საეტაპ. ეზო არის)	2	„
ახალქალაქისა	2	„
თელავის მაზრაში:		
თელავისა	3	„
ახალციხის მაზრაში:		
აწყურისა (საეტაპ. ეზო აზრის)	2	„
ასპინძისა (საეტაპო ეზო არის)	2	„
ახალციხისა	2	„
გორის მაზრაში:		
ბორჯომისა	1	„

(3—189—2)

ბუნებრივი კახური ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—1) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

აზიური ბუფეტი მტკვარზე

მ. გ. პირაპოზოვისა

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—8)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილით 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—13)

საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გავრცელების **ბიუროსათვის** შემდეგ ადგილებში: ბათუმში, ყვირილაში, და ჭიათურაში.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь, д. Гургенова Эр. Горделадзе. (2—1)

წიგნის გამომცემლობა

„კულტურისაგან"

ნოე ჟორდანიას წიგნის ბეჭდვა დაიწყო. ჩაბარება და სხვა, ისე შესრულდება, როგორც გამოცხადებული იყო. იმ აგენტებს, რომლებმაც ნისიად დარიგებული კვიტანციების ფულის შემოტანის ვადის გაგრძელება გვთხოვეს, ვადა მივეცით ამ თვის ბოლოვამდის, მაგრამ აგენტებმა ამით არ უნდა ისარგებლონ და ყველა ფული თვის ბოლომდის არ უნდა გააჩერონ, თორემ გამომცემლობას გაუჭირდება თავის დროზედ წიგნის გამოცემა.

ვისაც უნდა წიგნი დაკაზმული მიიღოს, მშვენიერ ყდაში ოქროს ასოების წარწერით, ყდისთვის უნდა დაუმატოს 35 კაპ. ახლავე, რომ წიგნები დაიკაზმოს დროზე. სანიმუშოდ ყდები ეგზავნება ზოგიერთ აგენტებს. (3—191—2)

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—70)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—252)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვე სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონო N 816.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—25)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—2)

ექიმი ქ. ქუთაისში

კ. თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ფირალოვის სახლი. (5—170—8).

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ჯვრა, ყორღანოვის ქ. 20 (0—ნ.—74)

ტფილისი, 4 ნოემბერი

მელვინეობის კანონ-პროექტი. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სხვათა შორის მევენახეობას და მეღვინეობას. ზოგან, საქართველოს ნაწილებში, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მარტო ოდენ მევენახეობას და მეღვინეობას მისდევს, ღვინის ფასით ისტუმრებს სახელმწიფო და საერობო ხარჯებს, ღვინის ფასით ყიდულობს საჭმელ პურს და სხვა. ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს ღვინის ვაჭრობას მაგალითად შიგნით კახეთისთვის. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პირობებშია ჩაყენებული რუსეთში ღვინის ვაჭრობა და რა კანონით განისაზღვრება იმისი მდგომარეობა.

უცხოეთის ქვეყნებში, სადაც კი მევენახეობა და მეღვინეობა არსებობს, ჰმოქმედებენ საგანგებო კანონები ღვინის ფალსიფიკატორების საწინააღმდეგოდ. იქ ამ კანონების გამოცემა აუცილებელი შეიქმნა იმის გამო, რომ ხელოვნურად გაკეთებული ღვინო ერთის მხრივ მავნე გავლენას ახდენდა მომხმარებელთა ჯანსაღობაზე და მეორეს მხრივ ძირს უთხრიდა ბუნებრივ ღვინის მწარმოებლებს. რამდენისამე წლის წინად, თუ არა ვცდებით, 1888 წელს, რუსეთშიაც იგრძნეს საჭიროება, საგანგებო კანონი გამოეცათ მევენახეების ინტერესების დასაცველად ფალსიფიკატორების კონკურენციისაგან და ღვინის მიამხმარებელთა დასაფარავად მაწყინარ სასმელებისაგან. ამ საჭიროების შეგნება გამოიწვია უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც მოსკოვი, პეტერბურგი და ვარშავაა, თურმე დიდი ხანია ფეხი ჰქონია მოკიდებული ღვინის ფალსიფიკაციას: ამ ქალაქებიდან თურმე გაცილებით მეტი ღვინო გააქვთ გასასყიდად, ვიდრე შეაქვთ იქ ღვინის მწარმოებელ რაიონებიდან. რადგან თვით ეს ქალაქები მევენახეობას არ მისდევენ, ცხადი შეიქმნა, რომ იქ ღვინის ფალსიფიკაცია ჰხდება.

დაიწყო მუშაობა ღვინის დაყენების და ვაჭრობის შესახებ კანონ-პროექტის შესამუშავებლად. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ერთის მხრივ მთავრობის წარმომადგენელნი და მეორეს მხრივ მევენახეებისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. პირველ ხანებში განზრახული იყო ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, დაკანონება იმისი, თუ რამდენ შაქრის ან სპირტის მიმატება უნდა ყოფილიყო შეწყნარებული, გარჩევა შეკეთებულ და ბუნებრივ ღვინის შუა და სხვა, მაგრამ კანონ-პროექტის შემუშავება ამ გვარ საფუძვლებზე სახიფათოდ მიიჩნიეს იმათ, ვინც ფართოდ აწარმოებს ხელოვნურ ღვინოებით ვაჭრობას, და შეუდგნენ საქმეს. როგორც სჩანს, მათს მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია.

ამ დღეებში ჰკითხველი დეპეშებიდან ამოიკითხავდა, სახელმწიფო სათათბიროში მთავრობამ მეღვინეობის კანონ-პროექტი შეიტანა განსახილველადო. ეს კანონ-პროექტი სწორედ ისეა შედგენილი, როგორც ეს ღვინის ფალსიფიკატორებს ესიამოვნებოდათ. კანონ-პროექტი ყოვლის უწინარეს უარჰყოფს ხელოვნურ და ბუნებრივ ღვინის შუა განსხვავებას. მაშასადამე, ყველა ფალსიფიკატორს ეძლევა უფლება ბუნებრივ ღვინის სახელით გაასაღოს ისეთი სასმელი, რომელშიაც მოიპოვება, რაც გნებავთ, გარდა ყურძნის წვენისა. ეხლა ასეთ სიყალბისთვის საერთო კანონის ძალით შეიძლება პასუხისგებაში მისცეთ ყალბი ღვინის გამსაღებელი, მაგრამ თუ ახლად შემუშავებული კანონ-პროექტი დაკანონდა, მაშინ ესეც შეუძლებელი იქნება. საყურადღებოა, რომ ღვინის ფალსიფიკაციის დამცველნი ფილოსოფიურ მწვერვალზე შესკუპებულან და იქიდან იცავენ თავის ვაჭრულ ინტერესებს. ღვინო ყოველთვის ხელოვნურია, რადგან ყურძნის წვენი თავის თავად არ გადიქცევა ღვინოდ, ამისთვის აუცილებლივ დამუშავებაა საჭიროვო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დამუშავებაც არის და დამუშავებაც. ზოგან, მაგალითად საქართველოში, ყურძნის წვენს მხოლოდ უვლიან, ზოგან კი აუარებელ შაქარს, სპირტს და სხვა უფრო მავნებელ ნივთიერებას ურევენ. განსაკუთრებით გავრცელებულია ღვინის ხელოვნური კეთება ბესსარაბიაში. იქაური ღვინის ვაჭრები მხოლოდ იმიტომ ყიდულობენ ადგილობრივ მევენახეებისაგან ყურძნის წვენს, რომ სპირტით, შაქრით და ნაღდულ წყლით ერთი სამად აქციონ, ხელოვნურად მეტი სიმაგრე შესძინონ და შემდეგ ერთი ორად და ერთი სამად უფრო ძვირად გაყიდონ, ვიდრე მევენახის ბუნებრივი ღვინო იყიდება.

ახალი კანონ-პროექტი, ამ გვარად, მფარველობას გაუწევს არა სოფლის მეურნეებს, არამედ სწორედ იმათ, ვისგანაც საჭიროა სასოფლო მეურნეობის დაცვა. ღვინის უზომო ფალსიფიკაციის ნაცვლად ახალი კანონ-პროექტი ებრძვის სწორედ ბუნებრივ ღვინით ვაჭრობას. საქმე იმაშია, რომ ყალბი ღვინო ყოველთვის გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბუნებრივი ღვინო. სწორედ ამიტომ არის საჭირო მფარველობითი კანონი. ამ მიზნისთვის უნდა შეეწონათ ღვინის კანონ-პროექტი იმის შემდგენელთ, მაგრამ ნამდვილად სწორედ წინააღმდეგსა ვხედავთ. რამდენისამე დღის წინად ევროპის საუკეთესო ღვინის რაიონიდან, შამპანიდან, იუწყებოდნენ, არეულობა დაიწყო ფალსიფიკატორების წინააღმდეგო. რატომ ახალ კანონ-პროექტის შემდგენელნი იმას მაინც არა ფიქრობენ, რომ მათის მეოხებით ეკონომიურ ნიადაგზე რუსეთშიაც შეიძლება მევენახეებმა უკმაყოფილება განაცხადონ და წესიერება დაარღვიონ? ღვინის ფალსიფიკატორებს, რომელთა გავლენითაც შემუშავდა ახალი კანონ-პროექტი, არც წესიერება აინტერესებთ, არც სოფლის მეურნეთა მყუდროება, იმათ მხოლოდ ერთი ინტერესი აქვთ,—ღვინის მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა და ფულების დაცნიცვლა.

ასეთია სახელმწიფო სათათბიროში ახლად შეტანილი კანონპროექტი ღვინის შესახებ და ვნახოთ, როგორ შეჰხედავს მას ოქტომბრისტების უმრავლესობა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ნოემბერი.

საზღვარ-გარეთ

პარიზი. დეპუტატთა პალატა. წყალ-დიდობის წინააღმდეგ მისაღებ ზომების განხილვის დროს, რამდენიმე ორატორმა ადმინისტრაციის დაუდევრობა აღნიშნა. საზოგადო საქმეთა მინისტრმა პიუკმა განაცხადა, რომ წყალ-დიდობის ასაცილებლად სენის ნაპირები ბევრს ადგილას ნახევარ ადლზე ავამაღლეთ, ესე იგი, იმ სიმაღლემდე, სადამდინაც შარშან წყალმა აიწიაო. პარიზის გარშემო არხის უზრუნველსაყოფად კედლების აგებას 170 მილიონი ფრანკი დასჭირდება და თვითონ საქმეც ხანგრძლივს გამოკვლევას მოითხოვსო. ნდობის გამოცხადების შემდეგ, პალატა მორიგ საქმეებზე გადავიდა.

ლვოვი. სეიმი. ბარონი ბატტაგლია შეეხო პოლონელთა და რუსთა ეროვნულ ბრძოლას, გაიხსენა გალიციის—რუს მოწაფის კოზანჩიკის საქმე და სთქვა: თუ მასწავლებელი გრეისი მართლა ფიზიკურის ძალით სცდილობდა რუს ბავშვისათვის პოლონური პატრიოტიზმი შეეთვისებინა, მთელი პოლონეთი გმობს შეუთვლისო. პოლონეთის ხალხს საკმაო კულტურა სამართლიანობის გრძნობა და განცდილ უკულმართობის შეგნება აქვს, რომ ასეთი დანაშაული დაუსჯელად დასტოვოსო.

სოფია. აქ ჩამოვიდა ინგლისის მისსია, რათა მთავრობას მეფე გეორგის ტახტზე ასვლა გამოუცხადოს.

ურმია. სალმასისაკენ მიმავალ გზაზე ქურთებმა ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტეს, ტელეგრაფის ბოძები დათხარეს და სამ ვერსის მოშორებით გადაზიდეს. დიდი ქარავანი გაძარცვეს. ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სოფლებში მოსახლე სემაისის ქურთებმა სოფ. კუშჩის ალყა შემოარტყეს. ეს სოფელი ურმია-სალმასის გზაზე სამხედრო პუნქტია და ურმია-რუსეთის აღებ-მიცემობაში უმთავრეს გზად ითვლება.

სტამბოლი. სეფე სიტყვაში მოხსენებული იყო, რომ მთავრობა შინაგან მშვიდობიანობას ესწრაფის და ჯარის გაუმჯობესობას სცდილობს; გარდა ამისა, ნათქვამი იყო, რომ ყველა სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობილებას ვიცავთო; ოსმალეთის სამშვიდობო მისწრაფება და თავის უფლებათა ღირსეული გამოსარჩლება სხვა სახელმწიფოებში თანაგრძნობას იწვევსო.

კარდიფი. მაღაროების პატრონებმა გადასწყვიტეს მუშათა მოთხოვნილება ხელფასის მომატებაზე დააკმაყოფილონ.

ლონდონი. „დეილი-კრონიკლ“-ს მინდობილი აქვს გამოაქვეყნოს, რომ მთავრობამ პარლამენტის დაუყოვნებლივი დათხოვნა გადასწყვიტა.

პარიზი. მდინარე სენამ 12 სანტიმეტრზე აიწია.

ვენა. ჩეხიისა და გერმანიის მშვიდობიანი მორიგება, უკანასკნელ დღეებში, საეჭვო ხდება. მეფის მოადგილე გრაფ კუდენგოვიცი ჩაერია, მაგრამ ვერა გაეწყო-რა. მეფის მოადგილე ვენაში ჩამოვიდა. სასახლეში, დელეგაციის პატივსაცემად გამართულ მეჯლისის დროს, იმპერატორი ესაუბრა ჩეხიისა და გერმანიის დელეგატებს და მორიგების მნიშვნელობას უმტკიცებდა. იმპერატორმა უთხრა, რომ ყოველი დელეგატთაგანი უნდა ეცადოს,—მორიგება მოხდესო. იმპერატორს იმედი აქვს, რომ საქმე კეთილად დაბოლოვდება. გაზეთები ყურადღებით აღნიშნავენ მორიგების საქმეში იმპერატორის ჩარევას.

ვენა. გაზეთები გაფაციცებით თვალს ადევნებენ ბელგრადის სკუპჩინაში მასარიკის მხილების გამო ატეხილ კამათს. მოუთმენლად ელიან გერასიმოვიჩის შეკითხვაზე მილანოვიჩის პასუხს. პაშიჩმა ამ შეკითხვის თაობაზე სიჩუმე არჩია. შეკითხვა ერენტალის განცხადებას ეხება, სადაც მან აღიარა, რომ ფორგაჩის ბელგრადში დარჩენა სერბიის მთავრობის მოთხოვნილებააო. ბელგრადიდან მოსული ცნობები კი ამტკიცებენ, რომ სერბიის მთავრობას სურდა—მასარიკის საქმის უმთავრესი ადგილი ვენაში ყოფილიყო. გაზ. „სტამპას“ ცნობებით, მილოვანიჩმა მოითხოვა ვასიჩის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიების შეჩერება, მაგრამ მინისტრთა საბჭომ დაადგინა—გამოძიება გაგრძელდესო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. პოლიტიკურ მდგომარეობის გამო სხდომას თითქმის ყველა წევრი დაესწრო. ყველანი მინისტრის განცხადებას ელოდნენ. ასკვიტის გარდა, ყველა პარტიათა ბელადები იყვნენ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ პირველ მინისტრს ხუთშაბათამდე განმარტების მიცემა არ შეუძლიან, რის გამოც სხდომის გადადებას ურჩევს. რადგანაც ბალფური ხუთშაბათს ნოტინგენში მნიშვნელოვან სიტყვას წარმოსთქვამს, გადასწყვიტეს, სხდომა პარასკევისათვის გადასდონ.

ბეითენი (სილეზია). გეორგის მაღაროებში აფეთქება მოხდა. ორი მუშა მოკვდა, ორი სასიკვდილოდ დაიჭრა, ბევრი მსუბუქადაა დაჭრილი.

ლონდონი. მინისტრთა საბჭოს სხდომამ სამ საათს გასტანა. სხდომის დროს ასკვიტის სანახავად მეფის მდივანი ლორდი ნოლლისი მოვიდა და ნახევრ საათს დარჩა. 3 ნახევარ საათზე ნოლლისმა ხელმეორედ ინახულა პრემიერ-მინისტი და დიდ-ხანს ითათბირა. ასკვიტი სანდრიგენს გაემგზავრება.

ჰამბურგი. ჰამბურგ-ამერიკისა და სპარსეთს შუა მიმოსვლის გასაფართოვებლად ინგლისელებისაგან ორი გემი შეიძინეს.

ბელგრადი. სკუპშჩინა. გერასიმოვიჩის შეკითხვის საპასუხოდ, მილოვანოვიჩმა განაცხადა, რომ მას არც პირადად და არც სხვა პირის საშუალებით ერენტალისათვის არ უთხოვნია, რომ ფორგაჩი ბელგრიდში დაეტოვებინა. ხოლო, ვენაში მყოფმა სერბიის დესპანმა სიმიჩმა, ამ საკითხის გამო შეკითხვაზე ერთის წლის წინად ერენტალს აცნობა: ბელგრადიდან ჩემ მიერ მიღებულ ცნობებით, სერბიის მაშინდელ გაზეთების ამხედრება ფორგაჩის იმავე თანამდებობაზე დარჩენის საწინააღმდეგოდ, სერბიის მთავრობის განზრახვას არ შეეფერებაო.

ფრენა

ნიუ-იორკი. მფრინავი ელი, ჩეზაპიკის სრუტეში მდგარ კრეისერ „ბირმინგამ“-ის ბაქანიდან აფრინდა. ორი ვერსი რომ გაიარა, საფრენი ზღვის ზედაპირს მოხვდა და პროპელლერი გაუტყდა. მფრინავი ნორფოლკის მახლობლად ჩამოვიდა. ეს ფრენა იმითაა საყურადღებო, რომ ზღვიდან აფრენის პირველი მაგალითია.

რუსეთი

დეპუტატ ჩხეიძის საქმე.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისაგან წერილი მიუღია. წერილში ნათქვამია: ჩხეიძე სათათბიროს დეპუტატია მაშინ, როდესაც კანონით სამისო ცენზი არა აქვსო. ამასთანავე სასამართლოს შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ჩხეიძე, პოლიციის მოხელის მიერ უკანონოდ მიცემულ საბუთის ძალით ყოფილა დეპუტატად არჩეული, ხოლო ეს მოხელე განზრახ შეუყვანია შეცდომაში ჩხეიძის ამომრჩევლებსაო.

ეკატერინებურგი. ქალაქის საბჭომ სტოლიპინი ერთხმად აირჩია საპატიო მოქალაქედ.

ტულა. ოსტაპოვიდან იუწყებიან, რომ ტოლსტოის მდგომარეობა სერიოზულია. ექიმები დაიბარეს. ტოლსტოი, ექიმ მაკოვეცკისა და თავის ქალის ალექსანდრას თანმგზავრობით კოზელსკიდან დონის-როსტოვისაკენ მიემგზავრებოდა. 31 ოქტომბერს საღამოთი ოსტაპოვოში ჩამოვიდა. ეხლა სადგურის უფროსის ბინაზე სწევს.

მოსკოვი სამხედრო სასამართლომ კორნეტი მარჩენკო და პოდპორუჩიკი თ-დი ვაჩნაძე დამნაშავედ იცნო და ჰაუპტვახტში დაპატიმრება მიუსაჯა: მარჩენკოს 4-ის თვით, ხოლო ვაჩნაძეს—3 თვით. თავ. ვაჩნაძე პოლიციელის დაჭრაში უდანაშაულოდ იცნეს.

პეტერბურგი. გავრცელებული ხმები, ვითომც გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგე პარიზსა, ლონდონსა და ვენაში აპირებდეს წასვლას,—სიმართლეს მოკლებულია. საზონოვი ამ ახლო ხანში არსად არ აპირებს წასვლას და პეტერბურგში რჩებაო.

ტულა. ოსტაპოვოში ტოლსტოისთან გაემგზავრა გრაფინია სოფიო ანდრიას ასული, მისი შვილები—ანდრია და მიხეილი და აგრეთვე ჩერტკოვი.

პეტერბურგი. საზღვარ-გარეთიდან ფინანსთა მინისტრი დაბრუნდა.

ბერდიანსკი. წყალ-დიდობამ ხამუტოვიდან ზღვაში გაიტაცა 10 სათევზაო ნავი. ნავთ-სადგურამდე ნიღვარმა რკინის გზის ლიანდაგი წალეკა. ღამე ქარიშხალმა ბერძნების გემი „ლეონიტისი“ ნაპირზე გამორიყა.

პეტერბურგი. 1909 წელს გამოცემულ ხუთ მანეთიან ქაღალდის ფულის აღწერილობა გამოამჟღავნეს.

პერმი. სითბოებისა და ნიაღვრების გამო მდ. კამაზე ყინული დაიძრა და 17 ნავი და რამდენიმე გემი დააზიანა. რადგანაც პერმში მყოფ სათევზაო გემთა ქარავანს დიდი განსაცდელი ელის, გადასწყვიტეს პერმის სანაპიროებზე ლამით ყინული ააფეთქონ და დაშალონ.

კიევი. ორი ფოსტის მოხელე და ერთი ქალი დააპატიმრეს. ამათ სხვადასხვა დროს საფოსტო კანტორიდან ყალბის საბუთებით 2.000 მანეთზე მეტი გაუტანიათ.

პეტერბურგი. სენატმა სამარკანდის პოლიცმეისტერის ივანოვის საქმე გადასინჯა, გამართლების განაჩენი გააუქმა და სამსახურში დანაშაულის ჩადენისათვის სამსახურიდან გადაყენება გადაუწყვიტა.

სიმფეროპოლი. პირველი თოვლი მოვიდა და ნახევარ ადლზე დასდო. ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულები თოვლის სიმძიმემ დასწყვიტა.

პეტერბურგი. სამხედრო საბჭომ მთავარ შტაბის აზრი მოიწონა და დაადგინა, რომ დონის სამხედრო ოლქის მოსწავლენი სავალდებულოდ ჩარიცხულ იქმნენ სახალხო განათლების სამინისტროს საპენსიო კასის მონაწილეებად.

ხარკოვი. საგუბერნიო მმართველობამ დაადგინა, რომ ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება,—მურომცევს სახელობაზე სახალხო უნივერსიტეტის დაარსებისა,—შესცვალოს.

ხოლერა.

უმანი. ერთის კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 10, გარდაიცვალა—5.

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა—2, ავად არის—36.

შავი ჭირი

ხარბინი. შავის ჭირის გაჩენიდან 1 ნოემბრამდე, მანჯურიის სადგურზე ავად გახდა 184 ჩინელი და 4 რუსი; გარდაიცვალა 166 ჩინელი და 4 რუსი. 2 ნოემბერს ხარბინში 14 საეჭვო ავადმყოფი იყო, ჯალაილონში—3.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ამ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოხდება, მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

✦ **თავ. ჯანდიერის საჩივარი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა სოხუმის ოლქის უფროსად ნამყოფის თავ. ჯანდიერის საჩივარი. თავ. ჯანდიერი კავკასიის ნამესტნიკს უჩიოდა იმის გამო, რომ უკანასკნელმა მას სოხუმის ოლქში მოხდენილ რევიზიის ანგარიშის პირი არ მისცა.

✦ **სესხი სვანეთს.** უმაღლესმა მთავრობამ 10.000 მან. გადასდო სვანეთის ცენტრალურ სასურსათო მაღაზიისთვის (სოფ. ბეჩოში) ხორბლის საყიდლად. ეს ფული მცხოვრებთ სამის წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 4 ნოემბერს, ქართულ თეატრში, ლადო მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით, საინტერესო წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენილ იქმნება ი. გორდინის 5 მოქმედებიანი პიესა „მირრა ეფროსი“, თარგმანი ვ. გუნიასი. ამ პიესამ რუსეთის ყველა სცენა მოიარა და ყოველგან დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი მსახიობნი ამ პიესის მზადებას დიდი ხანია შეუდგნენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმოდგენა მწყობრად ჩაივლის და ბევრ ხალხსაც მიიზიდავს.

✦ **ხოლერა ტფილისში.** 2 ნოემბერს, ხოლერის ნიშნებით ავად

ილიას საღამო *)

ფშავის ხევიდან ვესტუმრე
დღეს იმერეთის მხარესა.
ამ ტურფა არე-მარეში
ფიქრებს განვიცდი მწარესა.

⁂

ვდღესასწაულობთ კარგ დღესა,
დაღამებულსა შავადა,
ბოლოს-და ვიხრით მის წინ ქედს,
ვინც ჩვენ მოვკალით ძალადა.
ბოლოს-და ვტირით და ვნანობთ
რად მოვეპყარით ავადა
დიდს მოამაგეს, მამასა,
ჩვენს საწყლობაზე მტირალსა:
„გაფხიზლდით“, „გაილვიძეთო“,
დაუცხრომელად მყვირალსა,
ქართველ მუშაკთა წინამძღვარს,
მოაზრეს გასაკვირალსა.
გზა შეუკარით, თოფები
ვესროლეთ როგორც ფირალსა.

⁂

მას, ვინც ურჩევდა თავადსა—
ძმობა ჰქონიყო გლეხთანა,
სწამდა, რომ ამით ძალასა
შეიმატებდა ქვეყანა
და უფრო საშიშრად ჰქმნიდა
ერთად ორივეს მტერთანა.

⁂

ვინაც თავისი სამშობლო
თვით ღმერთზე მეტად იწამა
და ცილად პატარა ერი
გულმა ითვისა მისამა,
უდროოდ უნდა შეჭამოს
ოხერმა დედა-მიწამა!

⁂

ახ, რა ცუდია, რა ცუდი
გზა-არეულად მსჯელობა,
ცეცხლ-მოდებულის ერისა
თავისვე თავის მტერობა.
დიდხანს იცოცხლებს ჩვენშია,
ნეტავ, ასეთი ხელობა?!

⁂

შავმა დრომ შავი ნაყოფი
ჩამოგვაბერტყა თავზედა:
ცრემლი, ცეცხლი და მუქარა
დარაჯად გვიდგა კარზედა.
ნუ თუ არ არის ეხლა დრო
ვმღერდეთ შეწყობილს ხმაზედა?!..

⁂

გაფრინდი, ჩემო ოცნებავ,
გასჭერ სამარის ძირენი,
იქ ჰნახავ მამულიშვილთა,—
არიან არა-მცირენი,—
და დაამშვიდე ამ ამბით,
ის ჩემი ამატირენი.
ჩვენს ილიასაც იქ ჰნახავ,
გთხოვ,—ანუგეშო სიტყვითა:
მტკიცდება ქართველთ კავშირი
ძმობა-ერთობის ფიცითა.
მტერსა და მოკეთეს ვარჩევთ,
კარგი და ავი ვიცითა.
მის ანდერძს ვიჭდევთ გულში ღრმად,
ვატარებთ გულის ფიცრითა.

ვაჟა-ფშაველა.

---

*) ეს ლექსი წაკითხულ იქმნა ავტორის მიერ ილიას საღამოზე ქ. ქუთაისში.

ფარდა ახდილია

თარგმანი.

მოაწევდა თუ არა საღამო, იგი მიდიოდა მასთან გაფითრებული, დატანჯული და საშინლად დაქანცული ჩაეშვებოდა ღრმა სავარძელში. ვაჟი მაშინვე მუშაობას მიატოვებდა, დაიჩოქებდა მის წინ და დიდხანს ხმაგაკმენდილი კოცნიდა ჯერ მის გაფითრებულ ხელებს, შემდეგ ჩაიკრავდა გულში მის ხუჭუჭ თმიან თავს, სიამოვნებით ჩასცქეროდა თვალებში და კოცნიდა მის მშვენიერ თმებს. დაღლილობის გამო მძიმე ამოსუნთქვით ქალი წყნარად ეღიმებოდა, მოეხვეოდა და ჰკოცნიდა დიდხანს დაუსრულებლად, სტკბებოდა, იტანჯებოდა და მაგრად ეხვეოდა მას; უცებ თავს მაღლა აიღებდა, თვალებში ჩააცქერდებოდა და კიდევ კოცნიდა, შემდევ ხელებს ჩასჭიდებდა, წყნარად გაიცინებდა და ეტყოდა: „აჰა, გამარჯობა“! და ორნივე ბედნიერნი სიამით ეღიმებოდნენ ერთი მეორეს და ხმაგაკმენდილნი შესცქეროდნენ გაღებულ ფანჯრიდან ჩამომავალ მზეს.

განსაკუთრებით დღეს ძლიერ გაუხარდა მას ამ ქალის მოსვლა, რადგან უნდოდა ეჩვენებინა სურათი, რომელიც დიდის მუყაითობით გამოჰყავდა ტილოზე და რომელსაც ანდომებდა მთელ თავისუფალ დროს, მაგრამ დღემდე მას უმალავდა; გუშინ უკვე მოათავა უმთავრესი მუშაობა და სურათს მისცა ნახევრად უმანკო, ნახევრად ტანჯული გამომეტყველება. ცოტა გვერდზე დადგა და ანთებულის თვალებით უცქერდა სურათს პაწია ქალისას, რომელიც თითქოს ცოცხალი, წყნარად იცქირებოდა ლურჯ თვალებიდან დაუსრულებელ ტანჯვისა და მწუხარების გამომეტყველებით, ისინი გასცქეროდნენ სადღაც შორს, შორს, თითქოს იქ იმალებოდა ის, რის რის მიზეზითაც ისინი იყვნენ აგრე მწუხარე და ჩაფიქრებულნი.

მაგრამ ეს თვალები მუდამ არ უცქეროდნენ მას მწუხარებით,—ხანდისხან მათი გამომეტყველება იყო აღსავსე ბედნიერებით და სიყვარულით, რაიც სიამოვნებით უძგერებდა მას გულს. ქალმა რომ თავის სურათს შეხედა, ჯერ წყნარად და უეცრად წამოიძახა და შემდეგ ჩააცქერდა ვაჟს სწორედ ისეთის თვალებით, რომ თავბრუ დაესხა და თვალები დაუბნელდა. ამ დროს ვაჟმა გულში ჩაიკრა იგი და დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

ეს დაემორჩილა მის ხვევნა-კოცნას და როცა სულის მოთქმა გაუჭირდა ძლივს ლა დაუსხლტდა ხელიდან. მივიდა მაგიდასთან, წყალი დალია და ანთებულის თვალებით დადგა მის ახლო; თავი ასტკივდა, ტუჩები აუცახცახდა, ის გრძნობდა, რომ თვალებით დადგა მის ახლო; ის გრძნობდა, რომ თვალები რაღაცას დაეძებდნენ და რაღაც უნდოდათ. ასე თრთოდა იგი ყოველთვის, როცა მას ეწვეოდა, მაგრამ ყოველთვის თავს იჭერდა. არასოდეს ვაჟს არ მოსჩვენებია იგი ისე მომხიბლავად, როგორც დღეს.

ჯერ კიდევ ახლო იყო ის დღე, როცა იგი პირველად მივიდა მასთან და კოცნით უპასუხა მხურვალე „მიყვარხარ“-ს. როგორ უყვარდა მას იგი! რა რიგ უნდოდა, რომ ის მისი ყოფილიყო! ამ ქალმა, როგორ ჩქარა დაიმორჩილა მისი გული, დაავიწყებია ყველა და შესცქეროდა მხოლოდ მას, და მისი მოწყენილი თვალები თან დასდევდა და მოსვენებას არ აძლევდა. არა ერთხელ, როცა იგი იწვა ლოგინში ეჩვენებოდა მას ამ ქალის სახე თავისის ოთახის ბნელ კუთხეში, თითქოს სიყვარულით აღსავსე სახის გამომეტყველებით მას ჩასცქეროდა. როგორ ახლოა იგი მასთან და თან როგორ შორს! ხშირად, როდესაც ვაჟი ელაპარაკებოდა მას თავის სიყვარულზე, თავის ცხოვრებაზე იგი წყნარად ყურს უგდებდა და მის თვალები იცქირებოდნენ სადღაც შორს და არ დაეძებდნენ არც მის სიყვარულსა და არც ცხოვრებას; ისინი რაღაცას ხედავდნენ, გრძნობდნენ და კიდეც ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მას არ ესმოდა ეს გამომეტყველება, რომელიც სავსე იყო მწუხარებით და ხან ვედრებით.

დღეს ვაჟმა უკვე გადასწყვიტა ეთქვა მისთვის, რომ ის მეტის მეტი ჩუმია, რომ მას ვერ დააკმაყოფილებს მდუმარე ალერსი, გადასწყვიტა და სთქვა, თუ როგორ გაგიჟებით უყვარს იგი და მაშინ მიხვდება ყოველსავე ეს ქალი; მაშინ იგი მიანიჭებს მას დიდ ბედნიერებას, რომელიც მან ჯერ კიდევ არ იცოდა და რომელიც შესაძლოა, შეაძრწუნებს მასაც. ვაჟმა გაუწოდა ხელები, უნდოდა გვერდით დაესვა, მაგრამ ქალმა წყნარად დაიჩოქა და თავი ხელებში ჩუდვა. მან აუწია თავი, აკოცა და შეაჩერა პირდაპირ თვალებში და დაუწყო ლაპარაკი:

შენ იცი, ლიდია, რარიგ მიყვარხარ? ვიცი. არა, შენ იცი, რომ მე მიყვარხარ, მაგრამ თუ როგორ, ის კი არ იცი: არა, ვიცი, ვიცი და მისთვის მეშინიან შენი, მეშინიან შენი ანთებულ თვალებისა. რისთვის? მე მეშინიან შენი და ვიტანჯები, შენ ამას ხედავ? ვაჟმა ვერ გაიგონა იმისი კითხვა და განაგრძო ლაპარაკი, მაგრა მიიკრად გულზედ ეს ქალი, რომელიც ადრე, თუ გვიან მისი უნდა გამხდარიყო.

—და თუ იცი, ჩემს მდგომარეობასაც მიხვდები. მე არ შემიძლია, ჩუმად გადვიტანო შენი სიახლოვე, ჩუმად გესიყვარულო; ძლიერ მიყვარხარ და მეშინიან, მეშინიან, რომ ერთხელ შენ არ მოხვიდე ჩემთან. მაგრამ შენ არ უნდა გაექცე ბედს—ის ისეთი იშვიათია—როდისმე შენ ამას მიხვდები—გაიგებ რა ბედნიერია მოყვარული კაცი, ან რა ბედნიერებაა ჰყრობა საყვარელის ადამიანისა. შენ არ მომეცი ნება, რომ მე დღე და ღამე ვსცხოვრობ მით, რომ მე აი იქნება დღეს მოხვალ, თამამად მეტყვი, რომ გიყვარვარ და თავისუფლად მომენდობი. რა საკვირველი რამა ხარ! შენ გეშინია იმის თქმაც კი, რომ გიყვარვარ, თუმცა ეს ახლა უსიტყვოდაც სჩანს. ნუ ხარ ასეთი, იყავი ქალი და მიხვდი ჩემს გრძნობას.

ვაჟის მხურვალე სუნთქვა, როგორც ცეცხლი, სწვავდა მის პირისახეს; პირი ნახევრად გაეღო, ლოყები აენთო, თვალები უბნელდება და ის თითქოს ბოდვაშია, ლაპარაკობს და ლაპარაკობს: აი, შენ რომ მოდი დღეს მე გადავსწყვიტე—შენ აქედან ვერ წახვალ; მე არ გაგიშ-

გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში, გაგზავნეს ავჭალის ქუჩაზე მცხოვრები, პოლიციელი მიხეილ შეიკა.

◆ **აბასთუმნის სანატორია.** ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას დღემდე 16,113 მან. შეწირულება მიუღია აბასთუმანში, ჭლექიანთათვის სანატორიის მოსაწყობად.

◆ **ნ. ჯაფარიძის დაპატიმრება.** როგორც ქუთაისიდან გვწერენ, იქ, 30 ოქტომბერს, „სალხინო"-ს თეატრში წარმოდგენის მეორე მოქმედების დროს, პოლიციას შეუპყრია ნიკო ჯაფარიძე, რომელიც იმ ღამესვე ციხეში გაუგზავნიათ. დაპატიმრების მიზეზი არ იციან.

◆ **ტფ. ტრამვაის გამოსყიდვა** ბელგიელთან ტრამვაის გამოსყიდვის საკითხის გადაწყვეტა ქალაქის გამგეობამ ჯერ-ჯერობით გადასდო. ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულს ფაინსა და ქალაქს შორის გამართულს მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყვა. ბელგიის საზოგადოებას განუზრახავს 1915 წლამდე ტრამვაის საქმის წარმოება ქალაქმა მისს ხელში დასტოვოს, მაგრამ თავისი პირობანი არ წარმოუდგენია. საბოლოოდ ამ საკითხის გადაწყვეტა მოსალოდნელია მხოლოდ ამ თვის ბოლო რიცხვებში, როდესაც ფაინი ტფილისში კვლავ დაბრუნდება და ქალაქს წარმოუდგენს ბელგიის უსახელო საზოგადოების პირობებს კონცესიის ვადის გაგრძელებისას.

◆ **ქამაროვის გატაცების საქმე.** გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების საქმის გამოძიებას, როგორც გადმოგვცეს, გამომძიებელი უკვე შესდგომია და მოკლე ხანში ბრალდებულთ საბრალმდებლო ფურცლებს ჩააბარებენ.

◆ **ბორჩალოს მაზრის დეპუტაცია.** 2 ნოემბერს, ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ნ. ი. საგინაშვილის მეთაურობით, ნამესტნიკს წარუდგა საგანგებო დეპუტაცია და სთხოვა, ნამესტნიკი თავის მეუღლით დაესწროს შულავერში ტაძრისა და წყალსადენის კურთხევას

◆ **ჯარიმები.** ტფილისის გუბერნატორმა 50 მან. დააჯარიმა ყასაბი ფარსადან გივიევი ნიხრზე ზემოდ ხორცის გაყიდვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დაპატიმრებენ. საბა ბეკოევი და პროკოფი ფედერენკო გუბერნატორმა დააჯარიმა—პირველი 100 მან, მეორე—200 მან. პოლიციელის შეურაცხყოფისათვის.

◆ **დიდი ექსკურსია.** მომავალ მაისში, რუსეთის პროფესორთა ჯგუფი კავკასიისაკენ წამოვა მეცნიერულის აზრით. პროფესორთ აზრად აქვთ დაწვრილებით დაათვალიერონ ბორჯომი, აბასთუმანი და შავი ზღვის ნაპირები და სამეცნიერო მასალები შეჰკრიბონ დამპალი ციების წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

◆ **ნებადართული პიესა.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო წარმოდგენილ იქმნეს ქართულად კავკასიის სცენაზე მაქს დრეიერის 4 მოქმედებიანი დრამა „17 წლისანი", თარგმანი ი. ქევიძისა.

◆ **არქეოლოგიურ საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს რვა საათზე ტფილისის საჯარო წიგნთ საცავ დარბაზში იქმნება სხდომა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა, გრაფინია პ. ს. უვაროვის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე ამორჩეულ იქნება: თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი განყოფილებისა. ბ. ე. ს—ძე თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას **ლაბეჭინისა** და **ოყურეშის** საყდრების შესახებ ლეჩხუმის მაზრაში. კრებაზე არაწევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ **არქიეპისკოპოსის გარდაცვალება.** 3 ნოემბერს, დილის 4 საათზე, ტფილისში, გულის სიგანივრისაგან გარდაიცვალა, არქიეპისკოპოსი გარეგინ სათუნიანი. განსვენებული ქ. შუშის ეპარქიის უფროსად იყო რამდენიმე წლის განმავლობაში. უკვე ექვსი წელიწადია, რაც ის დაინიშნა ტფილისის ეპარქიის უფროსად. განსვენებული მშვიდის ხასიათის ადამიანი იყო და ბევრი პატივის-მცემელი ჰყავდა. დაკრძალვა მოხდება სანაინის მონასტერში. გუშინ ტფილისის სომეხ-გრიგორიან ეკლესიები მთელის დღის განმავლობაში, გლოვის ზარს რეკდნენ.

◆ 2 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში 26 უპასპორტო შეიპყრო.

საზარელი დრამა

ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. როგორც გუშინ ვწერდით, ვაჟთა პირველს გიმნაზიაში საზარელი დრამა დატრიალდა. ვაუწყებთ მკითხველთ ამ მკვლელობის დაწვრილებით ცნობებს.

მკვლელი მეხუთე კლასის მოსწავლე იყო. მისი მამა გორის მაზრის აზნაურია და ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობს. ერთხანად იგი საგიჟეთში ყოფილა და ახლა დამბლად ყოფილა ჩავარდნილი.

შალვა თავდგირიძე გიმნაზიაში ყოველთვის ცუდად სწავლობდა და ერთის კლასიდან მეორეში ძლივს გადადიოდა. 17 წლისამ, როგორც იყო, მეხუთე კლასს მიაღწია, სადაც დატოვებულ იქმნა მეორე წელს.

2 ნოემბერს თავდგირიძე სასწავლებელში ჩვეულებრივ მოვიდა. ის ნერვებ აშლილი იყო და ამხანაგებთან ლაპარაკის დროსაც აღელვება ეტყობოდა. მეორე გაკვეთილის შემდეგ გიმნაზიის ინსპექტორს დაეთხოვა და სახლში წავიდა. მესამე გაკვეთილის შემდეგ გიმნაზიაში კვლავ დაბრუნდა. როდესაც მოსწავლენი მეოთხე გაკვეთილზე შედიოდნენ, თავდგირიძეც მათ გაჰყვა. გიმნაზიის ინსპექტორმა ა. დ. საფაროვმა თავდგირიძე შეამჩნია და უთხრა მას: „პალტოთი და ქუდით რადას დგეხართ... გაიხადეთ". იქ მყოფ მოსწავლეთა სიტყვით, თავდგირიძემ ბოროტად გადახედა ინსპექტორს, რომელიც უკვე წავიდა, ეცა იქვე მომავალს, რუსულის ენის მასწავლებელს ს. ს. ტროიცკის, ამოიღო პალტოდან ხანჯალი და კისერში, მარცხენა მხარეს, ისე მძლავრად დაარტყა, რომ ყურიც მოიჩეხა. თავდგირიძემ ამ დროს დაპირა გამოჰკიდებოდა ინსპექტორსაც, მაგრამ აზრი შეიცვალა და ისევ თავის მსხვერპლს ეცა და მეცელსა და ფეხში დასჭრა. იქ მყოფი მოსწავლენი სულ დაიბნენ, გაშმაგებული თავდგირიძე-კი ჰყვიროდა: „არ მომეკაროთ, თორემ ყველას დაგჩეხავთო". ხანჯალი მკვლელს ძლივს წაართვა გიმნაზიის მოხუცებულმა მასწავლებელმა კ. ფ. განმა. მოსწავლენი მაშინვე ეცნენ მკვლელს, უნდოდათ იქვე გაეთავებინათ, ერთმა სილაც გაარტყა, მაგრამ მასწავლებლებმა ის ძლივს ხელიდან გამოსტაცეს აღშფოთებულ მოსწავლეთ.

დაჭრილი მასწავლებელი გიმნაზიის საავადმყოფოში მიიყვანეს და გამოუძახეს ექიმს. იგი სისხლიდან იცლებოდა და თან ამბობდა: „მშვიდობით... მე მისთვის მიპატიებია... მე მისთვის მიპატიებია". 15 წამის შემდეგ ტროიცკი გარდაიცვალა, რამაც დიდად დაალონა და ააქვითინა გიმნაზიის ყველა მოსწავლე, რომელთაც განსვენებული ძლიან უყვარდათ და პატივსა სცემდნენ. განსვენებული 28 წლისა იყო. ჯვარი შარშან დაიწერა და გიმნაზიაში საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა.

„სიმახინჯის" ავტორს

როდესაც რომელიმე მხატვრულ ნაწარმოების ავტორი გამოსთქვამს ამა თუ იმ საშუალებით აზრს, დებულებას, ჩვენ არა გვაქვს უფლება, უიქველად მოვთხოვოთ, რომ მან განგვიმარტოს. გვაჩვენოს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში ავტორის აზრი. ავტორს აქვს უფლება კითხვა მხოლოდ აღძრას, დაგვისურათოს. მაგრამ, როცა ავტორი გაზეთის წერილის საშუალებით არკვევს თავის აზრს და ყალბადა სთვლის სხვის შეხედულებას, მაშინ იმან უნდა განმარტოს თავისი აზრი, დაამტკიცოს იმისი ჭეშმარიტება. მე ვეცდები დავამტკიცო, რომ ავტორისათვის არავითარი „ველური" აზრი ძალად თავზედ არ მომიხვევია და ამასთან გამოვარკვიო „სიმახინჯის" ავტორის შეხედულების სიყალბე.

თუ ბ-ნ შიუკაშვილს მაინცა და მაინც თავისის აზრის გამორკვევა და ჩემის შეხედულების სიყალბის დამტკიცება უნდოდა,—შეიძლებოდა გამოიკვამთებოდა. რისთვის დასჭირდა იმისი თქმა, რომ საერთოდ ჩვენ იმდენად მოუმზადებელნი ვართ, რომ უბრალო ლიტერატურულ ნაწარმოების დაფასებაც კი არ შეგვიძლიან? რა საჭირო იყო ხაზის გასმა, რომ მე პიესა არც კი წამიკითხავს და სხვა?.. მეორეც ერთი, თუ „სიმახინჯის" აზრი არ მესმის და გადავამახინჯე, განა სულ ერთი არ არის, წავიკითხე პიესა, თუ არა? ხომ ვერ დავიფიცავ: ღმერთი გამიწყრეს, წავიკითხე-მეთქი! ყველაზედ უფრო „სიმახინჯის" ავტორის ერთმა დებულებამ გამაოცა: რა უფლების ძალით მთხოვს ავტორი, რომ იმისი აზრი უეჭველად იმავით გამეგო და დამეფასებინა? ყოველსავე ადამიანს თავისი განსაკუთრებითი თვისებანი აქვს, ცხოვრებაზე საერთო შეხედულების დაგვარად და თავის განვითარების მიხედვით აფასებს ყოველსავე მოვლენასა და აზრს. ეს ასე მოხდა ეხლაც. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ ადამიანმა ყოველივე კერძო მოვლენა, საკითხი, დაუქვემდებაროს ცხოვრებაზე მთავარ შეხედულებას და ლოღიკურად შეასისხლხორცოს ისინი.

ერთისათვის ძალიან მადლობელი ვარ ბ-ნ შიუკაშვილისა: იმან თვითონვე უწოდა ველური იმ აზრებს, რომელნიც მე იმას ვითომდა უსაფუძვლოდ ზურგზედ ავკიდე. მოვახვიე ძალად ავტორს რომელიმე აზრი თუ არა? გავარჩიოთ:

„სად არის „სიმახინჯეში" ნათქვამი, რომ ყველა ლობიოს ქოთანს უნდა მოუჯდეს და უკეთეს მომავლისაკენ არ ისწრაფოდეს? სად არის ნათქვამი, რომ მსხვერპლი და ბრძოლა საჭირო არ არის, განათლება მდიდართა უპირატესობაა და სხვა ამ გვარი მარგალიტები, რომელთაც ასე მოურიდებლად ახვევს ავტორს ბ. მესხიშვილი".

თურმე ყველა ეს ავტორის აზრი არ არის და მე მოვახვიე თავზედ. მე დამჭირდებოდა ჩემი წერილის გამეორება და პიესის კვალ და კვალ გარჩევა, რაც ბევრ დროს წამართმევდა, თვით ბ. შიუკაშვილი რომ არ მიადვილებდეს საქმეს. წერილში ავტორმა თავისი აზრი თვითონვე გამოსთქვა და ვეცდები სწორედ ეს გავარჩიო.

ბ. შიუკაშვილმა „სიმახინჯეში" გამოსთქვა თავისი საზოგადო შეხედულება ცხოვრებაზედ და ამას, როგორც კერძო შემთხვევას, დაუქვემდებარა კერძო საკითხი: სიმახინჯეა, თუ არა ახალი აზრებით გატაცება, მისწრაფება უმაღლეს სწავლა-განათლებისაკენ, როცა ძალა არ შეგწევს, დასწოლილხარ ტვირთად მშობლებსაც და ბოლოს კი ჩალად ქცეული ყველასათვის მეტი ბარგი ხარ. საერთო შეხედულება ავტორისა „სიმახინჯეში" სიმბოლიურად გამოსთქვა ილიკო მორბედმა ზღაპრით და ეს ზღაპარი დაათავა სიტყვებით: „ყველა უსაზღვრო ბედნიერებას ეპოტინება, ჩემო თომა, თავის ძალ-ღონეს ალევს უდროოდ გაღვიძებულ სურვილებს და ამითი, არამც თუ ისპობს მომავალს, არამედ აწმყოს შესაძლებელ კეთილ-დღეობასაც იშხამავს"—ესე იგი, ბარტყი ბუდიდან არ ამოფრინდეს, სანამ ფრთები სუსტი აქვს და საერთოდ ყველამ მოჰკიდოს ხელი იმას, რაც შეუძლიან, ნუ ისწრაფის უგუნურად დიად ბედნიერებისაკენ და კმაყოფილი იყოს აწმყოში შესაძლებელ ბედნიერებით ამასვე განმარტავს ავტორი თავის წერილში. „ბარტყი ბუდიდან არ უნდა ამოფრინდეს, ვიდრე ფრთები არ გაუმაგრდება, ვინაიდგან **ყოველს** ამგვარ ცდას მოსდევს **მეცდილებელთა** დაღუპვა; ბუდე ასეთის ბარტყისათვის უმაღლესი მწვერვალია და უფროსის შეთამაშება შეუძლიან არა მზისაკენ, არამედ უფსკრულისაკენ" (კურსივი ავტორისაა).

თაგვმა თხარა, თხარაო და კატა გამოთხარაო. სწორედ ამ საერთო შეხედულების სიყალბეს ვამტკიცებდი ამ ჩემს წერილში და ეხლაც ავტორს ორიოდე კითხვას მივცემ.

ვის ეძახის ბ-ნი შიუკაშვილი „ბარტყებს"? „სიმახინჯიდანა" სჩანს, რომ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას, უკეთ რომ ვსთქვათ ყოველსავე, ვისაც ჯერ ფრთები არ ამოსვლია და მისწრაფვის მზისაკენ, ძალა კი არა აქვს კასაფრენად.

მეორე კითხვა: რაში გამოიხატება ფრთების სიძლიერე და ვინ უნდა დააფასოს იგი? თუ ფრთების სიძლიერე ნივთიერ მდგომარეობაშია, რომ არ დააწვე ტვირთად არც მშობლებს, არც საზოგადოებას და იმათი ზურგზედ ტყავის აძრობით ე[illegible]დე ცისაკენ, მაშინ აშკარაა, რომ უმაღლეს სწავლა-განათლებისაკენ მისწრაფება, ახალი აზრების პოტინი, შეუძლიანთ იმათ, ვის მშობლებსაც ზურგი მაგარი აქვთ და არც საზოგადოებას შეაწუხებენ: ესე იგი ყველა ამას ღარიბნი მოკლებულნი უნდა იყვნენ. აქედან პირდაპირი დასკვნაა—გაუმარჯოს მდიდართა მონოპოლიას. მაშასადამე ეს აზრი ბ. შიუკაშვილისათვის ზერელედ არ მიმიწერია, მით უმეტეს, რომ ავტორი „სიმახინჯეში" ხაზს უსვამს მაღალ აზრებზე ხელის პოტინსა და ეკონომიურ სისუსტეს. ამ აზრს „სიმახინჯის" ავტორი ველურ შეხედულებას უწოდებს თავის წერილში. ძალიან კარგი. მოვძებნოთ სხვა საზომი ფრთების სიძლიერის დასაფასებლად. დაგვრჩენია მხოლოდ ერთი: „ბარტყის" მომზადება და მისი სულიერი ძალ-ღონე. კარგი და პატიოსანი! მაგრამ ერთი რამ მიბრძანეთ, ვინ უნდა დააფასოს ეს? მშობლებმა? უმეტეს ნაწილად ეს შეუძლებელია, რადგანაც შვილები და მშობლები ხშირად სხვადასხვა ენაზედ ლაპარაკობენ და ერთმანეთისა არა გაეგებათ-რა საზოგადოებამ? საიდან, როდესაც „ბარტყს" საზოგადოება არ იცნობს. ჯერ ხომ „ბარტყი", თქვენისავე აზრით, თავის ძალ-ღონის დაფასებას უნდა უცდიდეს და მერე შეძლებისდა დაგვარად დაიწყოს მოქმედება. სასწავლებელმა? ამისათვის ხომ ჩვენს აღმზრდელებს ძალიან სუსტი საზომი აქვთ—დიპლომი; ამ მოთხოვნილებას კი აკმაყოფილებს ყოველივე, ვინც მიღებულია უმაღლეს სასწავლებელში. თვითონ ბარტყმა? იქვე ხომ სწორედ ამისი წინააღმდეგი ხართ; მეორეც ერთი,—ყველას, ვინც გულწრფელად მიისწრაფის მომავლისაკენ და არა კმაყოფილდება აწმყო შესაძლებელ ბედნიერებით, თავისი ფრთები ძლიერი ჰგონია (გულწრფელობას კი ახალგაზრდობას ბ-ნი შიუკაშვილი ვერ წაართმევს. გულწრფელობას უმეტესად აკლიათ იმათ, ვისაც თავის მისწრაფებისათვის ცხოვრებამ ორიოდე კაპი დაასვა, არჩია მომავალ დიად ბედნიერებას შესაძლო აწმყო კეთილდღეობა, აშომბინებს სინიდისს პარადოქსებით და საერთოდ „ყოფილ ადამიანად" გადაქცეულა).

ან იქნება ბ. „სიმახინჯის" ავტორმა ერთგვარი არგუმენტი გამოიგონა ადამიანის ფსიხიურ ძალ-ღონის გასაზომად? გვაუწყოს ეს დიადი აღმოჩენა და მეც ქედს მოვახრი.

ამ გვარად ჩვენ საზომი არა გვაქვს ადამიანის სულიერ ძალ-ღონის დასაფასებლად, სანამ ცხოვრების ფერხულში არ ჩაებმება და თავის უნარს არ დაგვანახვებს. მაშ, რითი იხელმძღვანელოს ახალგაზრდამ, როცა ის პირველად გამოდის ცხოვრების ასპარეზზედ? რით უნდა დაიწყოს იმან უექ-

---

ვებ შენ არასოდეს, შენ აქ დარჩები, შენ ჩემი იქნები. მაგრად მიიკრა გულზე და შეხედა მას. ქალს თმები გაეშალა, თვალები დაეხუჭა, ტუჩები აუცახცახდა და რაღაცას წყნარად ეუბნება. ახ, რა მშვენიერია იგი ახლა! ვაჟი ძლივს იკავებდა თავს, გული აუძგერდა, მოეხვია მას და წყნარად წარმოსთქვა: ლიდია!

ქალი შეკრთა, აკანკალდა, თავზე ხელი გადაისვა და მხოლოდ ახლა იგრძნო ყოველივე, თუ რაზე ეუბნებოდა იგი მას, მიხვდა, რა ძნელი იყო მისი აქედან წასვლა. შეხედა და ვერ იცნო, ისე გამოეცვალა სახე: დაწითლებულ თვალებს მხეცივით აბრიალებდა, საშინლად ცახცახებდა და ახლა პირველად იგრძნო მისდამი ქალმა თითქოს რაღაც სიძულვილი; თითქოს ვაჟი თავის სიტყვებით, როგორც გასვრილის ხელებით შეეხო მის წმინდა სულს, დაიჩნია იქ კვალი, რასაც ასე საშინლად გრძნობს ახლა და აწი შეიძლება შეეჩვიოს, როგორც ეჩვევიან ყველაფერს, რაიც პირველად ეჩვენებათ თავხედობად, რაიც აუცილებელია, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია და რომელიც შეიძლება მოგვრის დაცემულ სიტკბოებას. თავში თითქოს ჩაქუჩებით სცემდნენ, არა, არა და არა, და მან გადასწყვიტა, რომ არა.

თუმცა ძლიერ დაქანცული იყო, მაინც სძლია თავს, წამოდგა დაუჯდა გვერდით და უნდოდა პირდაპირ ეთქვა მისთვის, რომ არა, მაგრამ შეშინდა. აზრები აებნა, საჭირო იყო დიდი გამოცდილება და ძალა, რომ დაემშვიდებია მხეცი ამ ადამიანში. არა, არა, იგი როგორც მოვიდა, ისე წავა აქედან ქალწული და პირველად მის სიცოცხლეში გადასწყვიტა, ეთქვა ტყუილი, დაიდო მისი თავი მუხლებზე, ვაჟი გასწორდა დივანზე და ქალმა დაიწყო წყნარის, როგორც ზაფხულის ბინდი, ხმით:

მე შენ მიყვარხარ, ეს არის ჩემი პირველი სიყვარული, და არასოდეს არ დაგივიწყებ არც შენ, არც შენს ტკბილ ალერსს. შენ დამანახე მე ახალი ცხოვრება და დამატკბე შენის სიყვარულით. შენს გარდა მე არ მინდა სიცოცხლე არც სიხარული; უშენოდ მე, როგორც ვარდი უმზეოდ, დავჭკნები და დაბლა დავხრი თავს. შენმა სიყვარულმა დამატრიალა მე, როგორც გრიგალმა ქარმა, დამავიწყა მწარე წარსული, ტანჯვა მახლობლებისა, მწუხარება მარტოობისა, მე მივხვდი, რომ არის ბედნიერება, არის სიყვარული და მსურს დავივიწყო ყველა და ყოველივე, ვიცხოვრო შენთვის და ჩემთვის, ვიცხოვრო შენის სიყვარულით. შენ მხატვარი ხარ, შენ გინდა ზეგარდმონიჭი და მე დავრჩები შენთან და ჩემი სიყვარულით აღგაფრთოვანებ, შენ დახატავ სურათს სიყვარულისას და მოაგონებ ბევრს წარსულ ბედნიერებას. შენ თაყვანის ცემას დაგიწყებენ, მაგრამ შენ დარჩები ამაყი და შეურყეველი, მხოლოდ მე, მხოლოდ მე დავრჩები შენს ახლო ჩემს სიყვარულთან, ჩემს მზესთან. შენ, თითქოს უხილავმა ღმერთმა, დაჩრდილე მწარე წარსული და ახადე ფარდა, რომ მაჩვენო მე ლამაზი ცხოვრება, ცხოვრება სიყვარულისა, ცხოვრება ბედნიერებისა, და აი მე უკვე ვცხოვრობ, მიყვარხარ და ვარ ბედნიერი.

მას თითქოს ძილში ესმოდა ქალის ხმა, რომელიც, როგორც ვერცხლის ზარა ალერსით წკრიალებდა მის თავზე, სიზმრებს ჰგვრიდა და ამშვიდებდა; მას მოაგონდა ბავშვობა, როცა იგი იჯდა დედის კალთაში, ყურს უგდებდა მშვენიერ ზღაპრებს მამაც რაინდებზედ, ოქროს მთებზე, ბროლის სასახლეებზედ ულამაზეს დედოფლებზე და თან ეძინებოდა; აგონდებოდა მას პირველი სიყვარულიც, ასეთივე კოხტა და ტურფა არსება, მაგრამ მისი სახე ისე ცხადად აღარ ეჩვენებოდა. ქალი გაჩუმდა და მისი აზრები შეწყდნენ.

ილაპარაკე კიდევ, ილაპარაკე, აწი შენ ხომ არსადა მიხვალ—კიდევ იგრძნო ქალმა, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამდნენ მას თავში. არა, არა და არა. შეიკრიბა უკანასკნელი ძალა და საშინლად დაქანცულმა ისევ დაიწყო ლაპარაკი, რაკი ხედავდა, რომ მას ამშვიდებდა მისი სიტყვები. „იგი დაიძინებს", გაიფიქრა მან და როგორც წყალ წაღებული ჩალას ეკიდება, სწორედ ისე გაუხარდა მას ამ აზრისა და დაიწყო ლაპარაკი უფრო წყნარად, უფრო ნაზად.

ვაჟი ალერსით იღიმებოდა, იწვა დახუჭულის თვალებით და ქალის ხმა ახლა (ეჩვენებოდა) ესმოდა მას, როგორც ჩხრიალა წყარო, რომელიც აფხიზლებდა მას და ავსებდა მის არსებას ტკბილი მოქანცვით. ვაჟი ახლა კარგად გრძნობდა თავს, აზრები უმშვიდებოდნენ და ხმა მოესმოდა სადღაც შორიდან, ყოველივე მიწყნარდა, მიჩუმდა,—ქალი მაინც ლაპარაკობდა; თან და თან ხმა გადადიოდა ჩურჩულზე, სულ წყნარად და წყნარად და გული, თითქოს დაჭრილი ფრინველისა, ხმა მაღლა სცემდა.—ღამდებოდა, ოთახი ბნელში ეხვეოდა და ეშინოდა, მაგრამ ცივას ოფლით შუბლზე იგი მაინც ელაპარაკებოდა ვაჟს თავის სიყვარულზე და ყურს უგდებდა მის სულისთქმას; სულ წყნარად, სულ თან და თან; ღრმად ამოიოხრა, მოტრიალდა და თავქვეშ ხელი დაიდვა.—სძინავს...

გაფითრებულმა ჩუმად ჩაიცვა, ფრთხილად გააღო კარი, უცებ გავიდა ოთახიდან და გაეშურა ქუჩისკენ, თავისუფლად ამოისუნთქა წმინდა ჰაერზე, მიიხედ-მოიხედა და ჩქარა წავიდა შინ—აზრები აერია, მაგრამ მას არ უნდოდა ფიქრი, სცდილობდა მალე მისულიყო შინ და დარჩენილიყო მარტო. მხოლოდ ერთი აზრი არ აძლევდა მოსვენებას.

„კარგად ქნა, თუ არა, რომ გამოიპარა და არ უთხრა პირდაპირ, რომ მას არ სურს და არც შეუძლიან თანაუგრძნოს იმის მხეცურ გრძნობას, რომ მან შეურაცხყო მისი წმინდა სიყვარული და მისწრაფება, რომ მას არ სურდა ეგეთი სიყვარული და არც ეგეთ სიყვარულზე ოცნებობდა"! რისთვის, რისთვის აგრე შეუბრალებლად მიუსპო მას ოცნებობა, შეურაცხყო მისი გრძნობა, პირველი სათუთი გრძნობა სიყვარულისა. ნუ თუ ყოველთვის ასეა? და ნუ თუ ყველას იმათ, რომლებიც ეუბნებიან—მიყვარხარ, უნდათ ყოველივე ამით დააბოლოვონ, აქამდე მიიყვანონ? არა, არა, ათასჯერაც არა! მას სწამს, რომ არის სხვა სიყვარული—სიყვარული ორი უცოდველის სულისა და არა ხორცისა, რომელთა სული შესაძლებელია უცხოა ერთი მეორისათვის. განა მან გაიგო მისი სული? იცოდა, რომ იგი ლოცულობდა მასზე? მან ერთი სიტყვით მოუსპო სიყვარული, რაკი აჩვენა მოუხეშელი სინამდვილე. გაახსენდა მისი სიტყვები, ჩურჩული, შეკრთა და გაექანა უფრო ჩქარა, თითქოს გაურბოდა რაღაც საშინელებას.

აი მივიდა კიდეც შინ. ბნელა, სიცივეა, ფანჯარაში შემოდის ცოტა სინათლე და ძლივს ანათებს პატარა ოთახს. გაჩერდა კედელთან და არ უნდოდა განძრეულიყო. საშინელი საბრალო და უბედური ეჩვენებოდა თავისი თავი- რა ქნას ახლა?—ცხოვრება რაღაც უეცრად მოსწყდა, ფარდა ჩამოიშვა, ბნელი წარსული გაქრა, წინ სიცარიელე და სიბნელეა. თავი სტკივა, უნდა დაიძინოს და გაფანტოს მძიმე ფიქრები; აანთო სანთელი და დაჯდა მაგიდასთან, სძლია დაღლილობას, უნდოდა მიეწერა ვაჟისათვის, რომ მას არ ესმის მისი სიყვარული. შემდეგ მე მას ვეტყვი, ფიქრობდა იგი, რომ მან მომიწამლა სიცოცხლე, და რომ მე აღარ შემიძლიან აწი გაცოცხლება და ხელახლა შეყვარება. და უსიყვარულოდ კი, ის ხშირად ამაზე ფიქრობდა, არ არის ბედნიერება. არ არის? არც მინდა! ის დაემორჩილება ბედს, რომელმაც აგრე შეუბრალებლად მოატყუა იგი! აწი ის არასოდეს აღარ დაბრუნდება იქ, სადაც იყო ბედნიერი. ვეღარ დაინახავს მშვენიერ სახეს, ვეღარ ჩაიკრავს გულში მის სატრფოს. იგი დაივიწყებს მას და იცხოვრებს წყნარად, მარტო და მოიგონებს, როგორც სიზმარს, ბედნიერ დღეებს. ის შესძლებს სძლიოს სიყვარული და დაივიწყოს წარსული. ისევ მწუხარება, ისევ მარტოობა, უძილო ღამეები და ცრემლები. არ ყავს არც მეგობრები, არც ნათესავები... ოხ! რა ძნელი იქნება კიდევ აწი! სული ეხუთება და ცრემლებით თვალები ევსება...

განთიადმა მოაწია, ოთახი თანდათან ნათლდება, საშინელი და საცოდავი შესახედავი იყო მტირალა ქალი, საშინლად ცახცახებდა, თავი უიმედოდ ედვა მაგიდაზე და გულამოსკვნილი ქვითინებდა. ქვითინი თანდათან წყნარდებოდა; ადგა, გაუხდელად დაწვა და ხანდისხან საცოდავად ამოიკვნესებდა.

ალექსანდრე კანდელაკი.

ველად აწმყოში შესაძლებელ კეთილდღეობის ძებნა და არ გასწიოს უფრო დიად ნავთსადგურისაკენ?

ამიტომ რომ ბ-ნ შიუკაშვილის აზრით, პატარა, რეალური, აწმყოში შესაძლებელი ბედნიერება სჯობია ყოველგვარ დიად მისწრაფებას, თუ ძალა არა გაქვს, რადგანაც რეალური ნაყოფი ვერ მოაქვს შენს ლტოლვილებას. ასეთ „ქაღალდის ფრთებიან სნეულ იკაროსების" წინააღმდეგია „სიმახინჯეო"—ამბობს „სიმახინჯის" ავტორი—ესე იგი პატარა, აწმყო შესაძლებელი, კეთილდღეობა სჯობია ყოველსავე დიად მისწრაფებას, თუ კი იმის ცხოვრებაში ეხლავე განსახორციელებლად ძალა არ შეწევს. ამისთანა აზრი ახალი არ არის. ბ-ნ შიუკაშვილის ცხოვრების ფილოსოფია ნამდვილი წარმომადგენელი და გამომხატველია იმისი, რასაც რუსულად „მეშჩანსტვო" ჰქვიან. „მეშჩანსტვო" წინააღმდეგია ყოველივე ალმაფრენისა, დახავსებულია და ძალიან ალმაცერად უყურებს ყველაფერს, რასაც რეალურის ადლით გასაზომავი შედეგი არ მოსდევს; მახინჯებს ეძახის ყველას, ვინც იმისს მრწამსსა და ფარგალს გადააბიჯებს. თუ ბრძოლის დროს ამისთანა ადამიანი დაიღუპა, მიზანს ვერ მიაღწია—„მეშჩანსტვო" ხითხითებს გესლიანად და კმაყოფილების ღიმილით გაიძახის: „შეხედეთ სულელს! ქაღალდის ფრთებით მზისაკენ გაფრენა მოინდომა. ნეტა ვიცოდე, რად აწუხებენ საზოგადოებასაც და ჩვენცეს მახინჯნი, იმის მაგივრად, რომ პატარა, აწმყო კეთილ დღეობა, მოეპოვებინათო". ამასვე სჩადის „სიმახინჯის" ავტორიც, იგი „მეშჩანსტვო"-ს იდეოლოგია და სწორედ ამაშია ჩვენის უთანხმოების თავი და ბოლო. რადგანაც, ვიმეორებ, „სიმახინჯე"-ში ავტორმა გამოსთქვა თავისი საერთო შეხედულება და ამას, როგორც კერძო კითხვა, უმაღლესს სწავლა-განათლებისაკენ მისწრაფება დაუქვემდებარა. ამიტომაც ამბობს ბ. შიუკაშვილი, „რომ სულით და ხორცით სნეული ერი უღდეოა და ვინცკი ერის მომავალზედა ჰფიქრობს, უნდა თავი დაანებოს უაზრო „მაღლა ფრენას", — მოიკრიფოს არსებობის უნარი, გაიმაგროს სისხლი და ხორცი და არ დაეწაფოს უმაღლეს ბედნიერებას იმ პირობებში, როცა მისი განათლებაც პრობლემატიურია და შთამომავლობასაც ამოფხვრა უქადისო. ეს რეცეპტი ბ. შიუკაშვილისა იმისი შეხედულების ალფა და ომეგაა. სწორედ სულითა და ხორცით სნეულს ერს სჭირდება ამისთანა ბრძოლა, როდესაც ეხლავე რეალური ნაყოფი არა სჩანს, მაგრამ მომავალში მოიტანს. სწორედ ამისთანა უაზრო „ალმაფრენისათვის" დაღუპული მსხვერპლნი საჭირო არიან იმისათვის (თორემ, როგორ გაიმაგრებს სნეული ერი სულს, ხორცსა და მოიპოვებს ცხოვრების ენერგიას იმით, რაც აწმყოში შესაძლებელია, და უკუაგდებს ყოველსავე ალმაფრენას,—ეს ყველამ კარგად ვიცით. ამ მაღამოთი „სიმახინჯის" ავტორმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იგი „მეშჩანსტვოს" მქადაგებელია (პოლიტიკაში ამ აზრს კარგად ვიცნობთ—„უგოლოვცე"-ბისა, „პოსტეპენოვცე"-ბისა და ძმათა მათთა დავითნია).

ამისი წინააღმდეგი ვარ მე. და სწორედ აქ ამოჰყო თავი ლობიოს ქოთანმაც, ბრძოლის უარყოფამაც და კიდევ ბევრმა სხვამ, რასაც ასე გაურბის „სიმახინჯის" ავტორი.

ყოველსავე ახალ აზრს, მისწრაფებას, სანამ ცხოვრებაში ფეხს მოიკიდებს, ძალიან ბევრი მსხვერპლი უძღვის ხოლმე წინ. კაცობრიობის ისტორია ამისთანა მაგალითებით არის სავსე. ადაიანების ფარა, პატარა, შესაძლებელ კეთილდღეობის მოთაყვანენი დასცინიან და აწამებენ კიდეც იმ ახალ აზრებისა და ცხოვრების პიონერებს, ვინც მიზანს ვერ მიაღწევს და დაიღუპნენ. „მეშჩანსტვოს" გოგრამ რომ შეიგნოს და დააფასოს ამ დაღუპულთა სიდიადე (დაღუპვა ჯერ კიდევ არა ნიშნავს ფრთების სისუსტეს, რადგანაც ხშირად ძალიან მძიმე ტვირთს იკისრებენ ხოლმე) საჭიროა რეალური ნაყოფი იმათის მუშაობისა. როცა ცხოვრება წინ წავა, განვითარდება, და აზრი მასსას ველურად აღარ ეჩვენება (სწორედ იმისათვის სხვა ძალებთან ერთად მსხვერპლნიც საჭირონი და არა დასაგმობნი არიან), მაშინ, გუშინ გაქელილი მახინჯი, სულელი, დღეს გმირად გადაიქცევა. ასეა ყოველთვის.

თუ ახალგაზდა, ახალ აზრებისა და საუკეთესო მომავლისაკენ ილტვის—ეს ასეც უნდა იყოს და არც დასაგმობია, რადგანაც ახალგაზდობის თვისებაა უანგარობა, იდეალებით გატაცება (თუმცა ხშირად იციან კიდეც, რომ პირადი მათი ძალა სუსტია) და პატარა კეთილდღეობის თავის აზრისათვის შეწირვა. მერე, როცა ცხოვრება კაცს ჩაითრევს თავის ამყაყებულ წუმპეში, ბევრი ჰკარგავს ამ თვისებას და პრაქტიკულად ანხორციელებს ბ. შიუკაშვილის რეცეპტს. ახალგაზდობის მისწრაფება მზისაკენ, თუ გინდ სუსტი ფრთებით,—დასაფასებელია, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი (ხელოვნება იქნება, სოციალურ უსამართლოებასთან ბრძოლა, თუ სხვა რამ, სულ ერთია). ამას უარჰყოფს ბ-ნ „სიმახინჯის" ავტორი და ამ უარყოფით თვითონვე ამტკიცებს „ლობიოს ქოთანსაც" და ბრძოლის უარყოფასაც. ეს ბ. შიუკაშვილის შეხედულების აუცილებელი ლოღიკური დასკვნაა და მე იმას ტყუილად არ მოვახვევ თავზედ. შეიძლება, და ეს ასეც არის, ბ. „სიმახინჯის" ავტორს ის ბრძოლა სწამს, რომლის ნაყოფი აწმყოში შესაძლებელი კეთილდღეობაა. ეს ბრძოლა მხოლოდ სხვისა და თავის-თავის მოტყუებაა და ბ. შიუკაშვილი გრამატიკულად მართალია, რომ „ბრძოლას" არ უარ-ჰყოფს.

მაშ რად მივაწერე ავტორს ველური აზრები? იქნება ავტორს ეგონა, კერძო საკითხზედა ვლაპარაკობთ და თავისდა შეუმჩნევლად თავისი საერთო შეხედულება გადმოგვცა. იქნება იმას არ შეუძლიან თავისივე შეხედულების ლოღიკურ დასკვნამდის მიყვანა? ეს ჩემი ბრალი არ არის. ან, იქნება „სიმახინჯის" ავტორი ხან „ისაი არაქელიჩია" და ხან კი „არაქელ ისაიჩი"—როგორაც სჯობია; „ლობიოს ქოთანს" უარს-ჰყოფს, ბრძოლის საჭიროება კარგად იცის და ამასთანავე „სიმახინჯე"-სა და თავის წერილში კი პატარა საქმას დიდ რაინდობას გვიქადაგებს. ჩემის აზრით ამათი შეერთება შეუძლებელია.

დასკვნა ნათელია: თუ ახალგაზდა (ჩემის აზრით ვინც უნდა იყოს) არა კმაყოფილდება აწმყო შესაძლებელ კეთილდღეობით და გულწრფელად ახალ აზრებისა და ცხოვრებისაკენ—გასწიოს იქით, რადგანაც ჩვენ არავითარი საზომი არა გვაქვს იმის ძალღონის დასაფასებლად და არც გვაქვს უფლება დაუშალოთ, რადგანაც უკმაყოფილება შესაძლებელ აწმყოთი და მისწრაფება ახალისაკენ შეადგენს ადამიანის საუკეთესო თვისებას, თუ გინდ ძალა არ შესწევდეს და ამ მისწრაფებამ იმას ბოლო მოუღოს.

სწორედ ამიტომ ამოვარჩიე ეპიგრაფი „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის..." ვინც იბრძოდნენ, თუ გინდ სუსტის ძალით, მომავალისამოსაპოვებლად, ახალ აზრის განსახორციელებლად და ამ ბრძოლაში დაიღუპნენ, ვერ დაანახეს ბ-ნ. შიუკაშვილებს რეალური ნაყოფი თავისის ლტოვილებისა, რადგანაც თვით ეს მისწრაფება, მსხვერპლი, უფრო სასარგებლო და პატივსაცემია, ვიდრე კმაყოფილების ქონით გაღენთილი შესაძლებელ აწმყოს რაინდები. ბ. შიუკაშვილი ირონიულად გვიკიჟინებს, რომ ამისთანა მისწრაფება ცუდად და ძალიან ცუდად ჩაივლის, რადგანაც „მათი მერანი ოთხივე ფეხით დახუთული ჯაგლაგია და მისგან უვალი გზის ტკეპნა მხოლოდ დონკიხოტებისათვის არის წარმოსდგენიო". ზევით მოყვანილ ჩემის აზრით, ეს ასე არ არის, მაგრამ თუ გინდ ასეც იყოს, რაც უნდა დახუთული ჯაგლაგი იყოს დონკიხოტის მერანი, მაინც სჯობია სანჩო პანჩოს ვირს, რომელზედაც ასე მაგრა შემჯდარან ზოგიერთნი და კმაყოფილების ღიმილით თავმომწონედ სხვებსაც უქადაგებენ სანჩო პანჩოს არა-აქტიურს ფილოსოფიას....

შალვა მესხიშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. სამშაბათს, 2 ნოემბერს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრის ნ. დ. ერისთავის ხელმძღვანელობით, გაიმართა ჩვეულებრივი საღამო—მეჯლისი. პირველად ითამაშეს ვალ. გუნიას მიერ გადმოკეთებული მხიარული კომედია „სიძე-სიმამრი". ეს პიესა არა ერთხელ და ორჯელ უთამაშნიათ ქართულს სცენაზე, და ამიტომ საზოგადოებამ კარგად იცნობს. ამ სეზონში პირველად გამოვიდა ბ-ნი კ. შათირიშვილი. კომედია მხიარულად ჩაატარეს. კომედიის შემდეგ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ ქალთა ხორომ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. დროის შესაფერი სცენები წაიკითხა რასპლუევის გრიმსა და ტანისამოსში ბ-ნმა მესხიშვილმა.

კრეჩინსკის დაჭერის შემდეგ ობლად დარჩენილი რასპლუევი ქალაქ-ქალაქ დაძრწის და სამსახურს დაეძებს, ქალაქის გამგეობაში შევა, მაგრამ დემოკრატი და ინტერნაციონალისტი ხატისოვი, ჯერ ერთი, ცუდს გუნებაზე დახვდება, რადგანაც გუბერნატორმა ვანამდებობაზე არ დაამტკიცა და მეორეც, პირდაპირ ეტყვის, რის ალაგი, რა ალაგი: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო". რასპლუევმა ბევრი ვინმე დაახასიათა, ციხეებშიაც შეყო თავი და აღმოაჩინა, რომ ციხეში ბევრი ჩვენი ნაცნობიცა ყოფილა დამწყვდეული; მერე ბელგიელებს ეწვია სტუმრათ, მაგრამ სამუშაო მაინც ვერსად იშოვა. ყური მოკრა სადღაც, ქართულ თეატრში ყველაფერი განახლებულ წესზე სწარმოებს და თუ იქნება რამე, ისევ იქ იქნებაო; ეწვია ქართულს თეატრს, მაგრამ იქაც ვერაფერს გახდა: აღმოჩნდა, რომ სცენაზე უფრო ბევრი ხალხი ჭრიალებს ხოლმე, ვიდრე თეატრის დარბაზში. დამშეულმა რასპლუევმა ქართულ თეატრსაც თავი დაანება და ქართულს გიმნაზიას მიაშურა: იქ მოსწავლენი მასწავლებლებსა სცემენ და ჩემი ბინაც იქ იქნება, ჩემზე ძალიან ხომ არავინ არის ცემას შეჩვეულიო.

სცენები კარგად იყო შედგენილი, ზომიერის იუმორით და ავ-დაჭერილ სარკაზმით. სცენები წაიკითხა ბ-ნა შალიკაშვილმაც, მაგრამ ეს სცენები უფრო სამხიარულო ხასიათისა იყო.

ბ-ნ კავსაძის ხელმძღვანელობით ხორომ რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა შეასრულა: „ჭონა", „თებრონე" და „ფერხული". საზოგადოებას განსაკუთრებით „ჭონა" მოეწონა და კიდეც გაამეორებინა. „ცანგალა და გოგონა"-ს ხმაზე ერთმა მომღერალთაგანმა და ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილმა გლეხ-კაცური ლეკური ითამაშეს.

„დიმიტრი თავდადებული" კარგი იქნებოდა, როლები რომ სცოდნოდათ; მთელი დარბაზი ჯერ სუფლიორისაგან ისმენდა ლექსს და მერე მომქმედ პირთაგან. ბ-ნმა არაბულმა ხომ ისე აურია ლექსი, რომ სრული უაზრობა გამოვიდა. დიმიტრი თავდადებული ისეთის უბრალო და სადა ენითაა დაწერილი, რომ მისი გაზეპირება არც ისე ძნელი უნდა იყოს, მაგრამ, ალბათ, მუშაობა დაზარებიათ. „დიმიტრი თავ-დადებულისთანა" სცენები ჩვენმა მსახიობებმა სრულიად უსუფლიოროდ უნდა დასდგან ხოლმე, მათ კი სუფლიორის შემწეობითაც კი ვერ მოახერხეს მისი წარმოდგენა. კარგად წაიკითხეს თავიანთი როლი ბ-ნმა ნიკ. ერისთავმა (მეფე დიმიტრი) და ბ-ნმა შალიკაშვილმა (ბერი კაცი).

ბ-ნმა სალირაშვილმა თარზე რამდენიმე. ჰანგი მოხდენილად დაუკრა.

საზოგადოდ საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; იგი ნამდვილი ქართული საღამო იყო, ქართულის სიმღერებით და ტანისამოსით. კარგს იზამს გამგეობა, თუ ამ საღამოებზე ქართულს ხოროს ხალხურ სიმღერებს ბლომად შეასრულებინებს; კომპოზიცია საჭირო არ არის. ამისათვის სრულიად სხვანაირად უნდა მოემზადება და სხვანაირის ცოდნით აღჭურვილმა პირემა უნდა მოჰკიდონ ხელი. პატარ-პატარა ხოროები კი თუ ხალხურ კილოებს შეისწავლენ და გადასცემენ საზოგადოებას, ესეც კარგი იქნება! თორემ ქართველი საზოგადოება ისე გადაგვარდა, რომ ევროპიულსა და ქართულს კილოებს ერთმანეთში ვეღარც კი არჩევს. **№65.**

სომხური თეატრი. მე სასწაული არა მრწამს, მაგრამ ორშაბათს, 1 ნოემბერს სომხეთა ცხოვრებაში სასწაული ვნახე, — სომხური თეატრი სავსე იყო ხალხით. ამბობენ, რომ აუარებელი ხალხი უკან დაბრუნდა უადგილობისა გამო. ყველა ეს ხომ ანაქრონიზმია... ჩემს თვალებს არ უჯერებდი...

სომხური თეატრი და სრულიად სავსე... მაგრამ ეს ფაქტია, ვინაიდან ამგვარი სასწაული მოხდა ამ ჩვენს ხანაში.

1 ნომბერს სომხურმა დასმა წარმოადგინა ევროპის ბურჟუაზიის „ყვითელი საფთხე", უკაცრავად „თაიფუნი". მკითხველს მოეხსენება, რომ იაპონელთა გამარჯვების დღეებში, ევროპის ბურჟუაზიამ ერთი ალიაქოთი ასტეხა,—მოდის, „ყვითელი საფთხე" მოდისო. აი, სწორედ ეს საფთხეა დასურათებული „თაიფუნში", რაც ბურჟუაზიის ფანტაზიაა და სხვა არაფერი. მაგრამ რაც შეეხება მის ავტორს. ის მხოლოდ კარგი ფანტაზიორი ყოფილა. მაგრამ რას გააწყობ, როდესაც ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ ამგვარი „ყვითელი საფთხეები" მოსწონს. ჩვენი მსახიობნი მთელს სეზონში ამის გამო ერთხელ მაინც გაძღებიან. აღვნიშნავთ, რომ ქ-ნმა მაისურიანმა—ელენეს როლი და ბ-ნმა ზარიფიანმა—ტოკერამოს როლი—საუკეთესოდ შეასრულეს.

Artemius.

რუსეთი

ახალი პროექტი.

სახელმწიფო საბჭოს ერთმა ჯგუფმა, ვ. მ. ანდრეევსკის თაოსნობით, შეიმუშავა და სახელმწიფო საბჭოში შეაქვს ახალი კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტით სახელმწიფო საბჭოს იმ წევრებს, რომელნიც არჩეულნი არიან ერობათა და მემამულეთა კრებათაგან, რწმუნების ვადა უნდა გაუგრძელდეთ. ამ კანონ-პროექტის შედგენას შემდეგი მოსაზრებანი დასდებია სარჩულად: სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ერობათა და მემამულეთაგან ირჩევენ მხოლოდ სამის წლით. ასეთი მოკლე ვადა, კანონ-პროექტის ავტორთა აზრით, ეწინააღმდეგება სახელმწიფო საბჭოს დანიშნულებასა და ხასიათს. ზედა პალატა არის სადავის დამჭერი და რევიზიის მომხდენი. ამიტომ თუ ქვედა პალატა არის მატარებელი პროგრესის იდეისა, მაშინ ზედა პალატა უნდა იყოს კონსერვატიზმის იდეის გამომსახველი და არსებულ წესთა და ტრადიციათა გონიერი დამცველიო.

რწმუნების ვადის გაგრძელება, მათის აზრით, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ამომრჩეველთა უფლებათ. ზედა პალატის წევრთათვის საჭირო არ არის, რომ ისინი გამომხატველნი იყვნენ საზოგადოებრივ ცვლილებათა და მიმდინარეობათა იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ქვედა პალატის წევრთათვისაო, ამიტომ კანონ-პროექტის ავტორნი თხოულობენ, რომ მემამულეთა და ერობათა წარმომადგენლებს სახელმწიფო საბჭოს წევრებად 9 წლით ირჩევდნენ, ისე, როგორც სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებს ირჩევენო.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—217)

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარ ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ექიმი კბილისა ალ. სოღოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა (უ)

ექიმი კბილისა ნინო [illegible]
იზმაილო[illegible]ზე N 2. **გადავიდა** [illegible] იღებს ავადმყოფებს დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ა. ნ. დიასაძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ. № 9. (უ)

საოჯახო ნომრები
ტფილისში
ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ მილოვისა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანაც არის.
ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვიურებს დაეთმობათ.
(30—181—3) პატრონი ნომრებისა ს. მოდველიძე

ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.
ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.
ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა, ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები
◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶
ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად. (20—127—8)

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
მ. ლაღიძისა და ამხ.
მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.
წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.
◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით** ▶
ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—7)

პოლტავის საადგილ მამულო ბანკის
მთავარი აგენტი
● **(ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებისათვის)** ●
ამით პატივისცემით საყოველთაოდ იუწყება, რომ სხვა და სხვა პირობების შესატყობად (გრძელ-ვადიანისა, მოკლე-ვადიანისა თუ სხვა-გვარ სესხის ასაღებად) და განცხადებათა მისაღებად, პირდაპირ მიმართონ ხოლმე უმთავრესს აგენტს გლიამინოვის ქუჩა, N 9, ალექსანდრე სერგეის ძე ნოვიცკის. (4—177—2)

5 ნოემბრიდან იწყება
დიდი იაფი
ვაჭრობა
დამზადებულ ტანისამოსის მაღაზიაში
ექსელანსი
(0—197—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი, (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—22)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

ექიმი ნიკო ერისთავი ბათომში
სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი დებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლავებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეტოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—8)

◀ **მშობიარეთათვის** ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—71123)